



დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის
2018 წლის 08 იანვრის
ბრძანება N 2/02

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია



დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები



თბილისი 2018 წ

მუხლი 1


- 1.1** დაწესებულებაში განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ირჩევა შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- 1.2** დაწესებულება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს(შემდგომში ინსტრუქციას).
- 1.3** ინსტრუქციის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ხოლო ამ სტრატეგიული მიზნის ქვაკუთხედს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში პროფესიული სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა წარმოადგენს.
- 1.4** ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის რეალიზება ხელს უწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას.

P – Plan - დაგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - განავითარე (მოახდინე რეაგირება).



1.5. მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.

1.6. PDCA პროცესი ყოველთვის შეიძლება თავიდან გაანალიზდეს და დაიწყოს ახალი ციკლი.

1.7. დაწესებულება შეფასების სისტემის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით - თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინდივიდუალურია და განსხვავებული მიდგომები სჭირდება;

მუხლი 2.

“დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის შემდეგ სქემას:

- 2.1. პირველ ეტაპზე (“დაგეგმე”) განისაზღვრება შეფასების მიზანი და მეთოდოლოგია
- 2.2. მეორე ეტაპზე (“განახორციელე”) ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით;
- 2.3. მესამე ეტაპზე („შეამოწმე“) ერთვება შემოწმების მექანიზმები, თუ რა მუშაობს და რა არ მუშაობს და შესაბამისად, იძებნება მიზეზები;
- 2.4. საბოლოო ეტაპზე („განავითარე“) ჯამდება შედეგები, განისაზღვრება ხარვეზები, იძებნება მიზეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავდება სათანადო რეკომენდაციები;
- 2.5. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში დაისახება არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების და შემდგომი განვითარების მექანიზმები.



მუხლი 3.

3.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულების შეფასება ხდება რეგულარულად, ამ წესით წინასწარ გაწერილი და დაგეგმილი შეფასების ინსტრუქციის მიხედვით;

3.2. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად

ა) პროგრამის მიმდინარეობისას

ბ) პროგრამის დასრულების შემდეგ

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების/მოდულების განხორციელების შეფასების მიზნით ინტერვიუერებს ურიგდებათ კითხვარები სასწავლო კურსის/მოდულის დასრულების შემდეგ.

3.4. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან დაწესებულების პროგრამების, სილაბუსების, მოდულების, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსების, სამსახურების ფუნქციონირების, ხარისხის სისტემატური შეფასების გზით.

3.5. დაწესებულებაში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი ფორმები:

- მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტის კითხვარი (დანართი 1)
 - საგნობრივი პროგრამის პროფესიული სტუდენტის კითხვარი (დანართი 2)
 - მოდულური პროგრამის პროფესიული მასწავლებლის კითხვარი (დანართი 3)
 - საგნობრივი პროგრამის პროფესიული მასწავლებლის კითხვარი (დანართი 4)
 - მოდულურ პროგრამაზე შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი (დანართი 5)
 - კურსდამთავრებულის გამოკითხვის ფორმა (დანართი 6)
 - საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი საგნობრივი პროგრამისათვის (დანართი 7)
 - საგაკვეთილო პროცესზე დასწრების აქტი მოდულური პროგრამისათვის (დანართი 8)
 - დამსაქმებელთა კითხვარი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებებს შესახებ (დანართი 9)



3.6. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში 2-ჯერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 და 6 თვის შემდეგ;

3.7. საგაკვეთილო პროცესზე დასწრება ხორციელდება სასწავლო კურსის/მოდულის დასრულებამდე მინიმუმ ერთხელ;

3.8. შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევა ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ;

3.9. პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა მოდულის/სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ;

3.10. გამოკითხვის შედეგების ანალიზი კეთდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება და ახალი რედაქციით დამტკიცება.



მუხლი 4

4.1. აღნიშნული ღონისძიებების ეფექტურად გატარების მიზნით აკადემიის რექტორის ბრძანებით იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:

რექტორი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები

- ზოგადი/ტრანსფერული მოდულების/სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირები;
- პროგრამის ხელმძღვანელი
- სასწავლო პროცესის მენეჯერი;
- დამსაქმებელი/დარგის სპეციალისტები.

4.2. შიდა მონიტორინგის ჯგუფს ჰყავს ჯგუფის ხელმძღვანელი მან უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:

ა) შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრთა აქტივობების კოორდინირება;

ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;

გ) ანგარიშების მომზადება;



მუხლი 5

შიდა მონიტორინგის ჯგუფის ამოცანები

5.1. ხარისხის სისტემის უზრუნველყოფა და შეფასება;

5.2. სამიზნე ჯგუფისათვის დახმარების გაწევა და სათანადო მიმართულებების უზრუნველყოფა;

5.3. ხარისხის მონიტორინგი;

5.4. ხარისხის გარე უზრუნველყოფის მოთხოვნების დაკმაყოფილება;

5.5. კითხვარის შეგროვება და შეგროვებული მონაცემების ანალიზი;

5.6. სამიზნე ჯგუფების კონსულტირება/ტრენინგი და რეკომენდაციების მიცემა;

5.7. სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირება (კითხვარების ანალიზის ან/და მეცადინეობაზე დასწრების დროს წამოჭრილი პრობლემის საფუძველზე);

5.8. პერსონალის განვითარების დაგეგმვა;

5.9. პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;

5.10. გარე მხარდაჭერის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადება და თანამშრომლობა;



მუხლი 6.

შიდა მონიტორინგის სამსახურის მოსალოდნელი შედეგები

6.1. სამოქმედო გეგმის შემუშავება;

6.2. გეგმის შესაბამისად აქტივობების განხორციელება;

6.3. ანალიზის დოკუმენტის მომზადება;

6.4. ანალიზის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

6.5. ხარისხის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.



მუხლი 7

7.1. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ამტკიცებს აკადემიის რექტორი;

7.2. ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით.